ტექნიკური დავალება

მიწოდების პირობა - DDP (DELIVERED DUTY PAID).

საქონლის მოცულობა და სპეციფიკაციები - კონტრაქტის პროექტის №1 დანართის შესაბამისად.

FPAL კოდი – 2.99.04

- <u>ზოგადი ინფორმაცია ტენდერის ობიექტისა და საგნის შესახებ</u>
  - ღია ტენდერის საგანი: შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს ობიექტების პერსონალისთვის სპეციალური ტანსაცმლის შეკვეთა ლუკოილ ჯგუფის ორგანიზაციების ბენზინგასამართი სადგურების პერსონალის ბრენდირებული და სპეციალური ტანსაცმლის კატალოგის მიხედვით;
  - საქონლის მიწოდების ადგილი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, N11, შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ სათაო ოფისი;
  - სამუშაოების შესრულების ვადა: 1 (ერთი) წელი ხელშეკრულების გაფორმების დღიდან;
  - ზოგადი ინფორმაცია დამკვეთის შესახებ: შპს „ლუკოილ-ჯორჯია“. მისამართი; საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, N11, ტელ.: +995 (32) 238-99-92. E-mail: infogeorgia@eu.lukoil.com

- <u>კონტრაქტის ტექნიკური პირობები</u>
  - კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების მოქმედების (1 წელი) განმავლობაში, დამკვეთის დამატებითი მოთხოვნების მიხედვით, ლუკოილ ჯგუფის ორგანიზაციების საქონლის ბრენდირებული და სპეციალური ტანსაცმლის კატალოგის შესაბამისად, დამკვეთის ობიექტების პერსონალისთვის დაამზადოს და მიყიდოს დამკვეთს ახალი სპეციალური ფორმა. საქონლის დასახელება, რაოდენობა, ზომის ერთეული და ფასი მითითებულია ხელშეკრულების პროექტის დანართში №1;
  - კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას შეფუთოს და მონიშნოს საქონელი ამ საქონლის დატვირთვისა და ტრანსპორტირების ტექნიკური პირობების შესაბამისად. კონტრაქტორი გარანტიას იძლევა, რომ მიწოდებული საქონელი დააკმაყოფილებს ხელშეკრულების ნორმატიულ და სხვა მოთხოვნებს. დამკვეთისთვის საქონლის გადაცემისას, საქონელს თან უნდა დაერთოს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატები: ფორმა "A" (ორიგინალი) და/ან ფორმა "CT-1" დამკვეთის მოთხოვნით, ასევე შესაბამისობის სერტიფიკატი (ასლი დამოწმებული ორიგინალური მწარმოებლის ბეჭდით). კონტრაქტორი ვალდებულია წარმოადგინოს შეძენილი საქონლის ხარისხის დამადასტურებელი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულო და სხვა სერტიფიკატები;
  - საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს დამკვეთის მოთხოვნებს გამოყენებული მასალების თვისებების, ხარისხისა და კორპორატიული სტილის თვალსაზრისით;
  - საქონელი უნდა მზადდებოდეს და მიწოდებული იყოს დამკვეთის მოთხოვნების სრული შესაბამისობით სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების სრული დაცვით;
  - საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად თითოეულ პარტიაზე ცალ-ცალკე;
  - საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს მომხმარებლის მოთხოვნებს გამოყენებული მასალების თვისებების, ხარისხისა და კორპორატიული იდენტობის კუთხით ტექნიკური პირობების დანართების შესაბამისად (დანართები No1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11);
  - სატენდერო პროცედურების პირველი ეტაპზე (წარმოდგენილი ტექნიკური მასალის შეფასება) აპლიკანტებმა სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინოს სპეცტანსაცმლის ნიმუშები და მათზე შესაბამისი სერტიფიკატები.
  - წარსადგენად საჭირო საბუთების ნუსხა დგინდება განმცხადებლისადმი ინსტრუქციით (დანართი No3).

❖ <u>კონტრაქტის კომერციული პირობები</u>

- საქონლის ღირებულება მითითებული უნდა იყოს სახელშეკრულებო ფასის უწყისის ფორმით ცხრილი №1 სახით:

<u>ცხრილი №1</u>

№	საქონლის დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი დღგ-ს გარეშე, ლარში	ჯამური ღირებულება დღგ-ს გარეშე, ლარში
1	**ზამთრის უნფორმა (აგს-ის ოპერატორი)**				
	- ქურთუკი	ცალი	450		
	- შარვალი-კომბინეზონი	ცალი	450		
	- ბაიკა	ცალი	450		
	- გრძელსახელოებიანი პოლო	ცალი	900		
	- ზამთრის ქუდი	ცალი	450		
2	**კაცის გრძელსახელოებიანი პოლო (კონსულტანტი)**	ცალი	40		
3	**ქალის გრძელსახელოებიანი პოლო (კონსულტანტი)**	ცალი	60		
4	**კაცის ჟილეტი (კონსულტანტი)**	ცალი	40		
5	**ქალის ჟილეტი (კონსულტანტი)**	ცალი	60		
6	**კაცის კეპი (კონსულტანტი)**	ცალი	40		
7	**ქალის კეპი (კონსულტანტი)**	ცალი	60		
8	**გრძელსახელოებიანი მოსაცმელი (დამლაგებელი)**	ცალი	60		
სულ (ზამთარი) ფასი დღგ-ს გარეშე, ლარში					
1	**ზაფხულის უნფორმა (აგს-ის ოპერატორი)**				
	- ქურთუკი	ცალი	450		
	- შარვალი	ცალი	450		
	- მოკლესახელოებიანი პოლო	ცალი	900		
	- კეპი	ცალი	450		
2	**კაცის მოკლესახელოებიანი პოლო (კონსულტანტი)**	ცალი	40		
3	**ქალის მოკლესახელოებიანი პოლო (კონსულტანტი)**	ცალი	60		
4	**კაცის ჟილეტი (კონსულტანტი)**	ცალი	40		
5	**ქალის ჟილეტი (კონსულტანტი)**	ცალი	60		
6	**კაცის კეპი (კონსულტანტი)**	ცალი	40		
7	**ქალის კეპი (კონსულტანტი)**	ცალი	60		
8	**მოკლესახელოებიანი მოსაცმელი (დამლაგებელი)**	ცალი	60		
9	**საწვიმარი (ოპერატორი)**	ცალი	100		
სულ (ზაფხული) ფასი დღგ-ს გარეშე, ლარში					
ჯამური ფასი დღგ-ს გარეშე, ლარში					

- სახელშეკრულბო ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია დამკვეთის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასთან.
- ანგარიშსწორება იწარმოებს ქართულ ლარში შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით

კონკრეტული შეკვეთის (პარტიის) მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/ინვოისის გამოწერიდან 30-ე კალენდარულ დღეს.

- კონკრეტული შეკვეთის (პარტიის) შესრულების ვადა განისაზღვრება შეკვეთის მიღებიდან 45 დღით.
- მონაწილის კომერციული განაცხადი უნდა შეიცავდეს მასალებისა და სამუშაოს სრულ ღირებულებას სამუშაო პირობების სრულად შესასრულებლად;
- კომერციული შეთავაზების ღირებულება მითითებული უნდა იყოს ქართულ ლარში დღგ-ს გარეშე;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმწოდებლი ყველა გადასახადს იხდის დამოუკიდებლად;
- წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ყველა გადასახადები და მოსაკრებლები შეტანილი უნდა იყოს საქონლის საერთო ღირებულებაში.
- საგარანტიო ვადა საქონელზე განისაზღვრება მიღება-ჩაბარები აქტის ხელმოწერიდან 15 დღით.
- იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი გამოავლენს საქონლის ხარვეზებს ან არაადეკვატურ ხარისხს კონტრაქტორის ბრალეულობით, ეს უკანასკნელი ვალდებულია უსასყიდლოდ აღმოფხვრას ისინი.